

ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი

ხელმოწერის თარიღი

შ.პ.ს "სისნეტი"; ს/კ: 400157076; მისამართი: გურამიშვილის გამზ. # 41გ ბრენდის სახელით "FastCloud" (შემდგომში "შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ერთის მხრივ და **შ.პ.ს "-----"; ს/კ: -----; მისამართი:** ქ. თბილისი, -----, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, მეორეს მხრივ (შემდგომში "დამკვეთი"), ვდებთ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით ქვემოთგანსაზღვრულ ურთიერთსასარგებლო საქმიანობაზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალით მხარეები თანხმდებიან, რომ მისი მოქმედების პერიოდში "შემსრულებელი" "დამკვეთის" ნების საფუძველზე გაუწევს "დამკვეთს" 1.2 პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებას.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში განსაზღვრული მომსახურება გულისხმობს: "დამკვეთი"-სათვის ჰოსტინგ მომსახურებას, რისთვისაც "დამკვეთი" - სათვის "შემსრულებელი" მის კუთვნილ სერვერზე გამოყოფს არენდით „დამკვეთი“-ის მიერ მოთხოვნილ ვირტუალურ რესურსებს (CPU,RAM,HDD), რომელიც მოთხოვნილია მის მიერ რეგისტრაციისას. ამასთან გარანტირებული აფ-თაიმი შეადგენს 99,9%.

2. ხელშეკრულების შინაარსი

2.1. მხარეები თანხმდებიან ზუსტად და დროულად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

3. ანაზღაურების წესი

3.1. მხარეები თანხმდებიან, რომ "შეკვეთის" ფასი განისაზღვრება ეროვნულ ლარში შერჩეული პაკეტის მიხედვით. იხილეთ დანართი 1.

3.2. "დამკვეთი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს 3.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდა ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ასევე ყოველ მომდევნო თვეში ერთხელ ავანსად.

3.3. მხარეებს შორის ხელშეკრულება იდება 1 წლის ვადით და გრძელდება ავტომატურად შემდეგ წელს.

3.4. ჩვენი მომსახურება არის ყოველდღიური და ინვოისიც არის თვის ჭრილში გარდამავალი, ამის გამო მომსახურებაზე ანგარიშ ფაქტურას მიიღებთ ინვოისის შესაბამისად.

3.5. საბანკო ანგარიშწორებისას გამოიყენეთ შემდეგი ანგარიშები:

თბილისი ბანკი: **GE73TB7357736080100004 GEL**

საქართველოს ბანკი: **GE55BG000000637788400 GEL**

ლიბერთი ბანკი : **GE79LB0113141950335000 GEL**

საბანკო გადმორიცხვის შემთხვევაში გთხოვთ დანიშნულებაში მიუთითოთ ინვოისის ნომერი:

4. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

4.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ვალდებულებების ნაწილობრივი, ან სრული შეუსრულებლობა გამოწვეულია მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების გამო. ასეთ გარემოებებზე მიიჩნევა: საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურებები, დივერსია, ხანძარი, ბლოკადა, ელექტროენერჯის კრიზისი, ცვლილებები კანონმდებლობაში და სხვა გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

4.2. ფორს-მაჟორული სიტუაციის დამთავრების შემდგომ „შემსრულებელი“ ეცდება გააგრძელოს „დამკვეთისთვის“ დანართი 1-ში აღწერილი სერვისის მიწოდება, თუ ეს შესაძლებელია ან ხელსაყრელია „დამკვეთისთვის“. წინააღმდეგ შემთხვევაში „შემსრულებელი“ ვალდებულია „დამკვეთს“ მიაწოდოს მისი ფაილების სარეზერვო ასლი(ები).

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. "შემსრულებელი" ვალდებულია: განახორციელოს მისი კუთვნილი სერვერების მუდმივი მონიტორინგი და იზრუნოს მათ უსაფრთხოებაზე, მოახდინოს ვებ გვერდის (თუ ასეთი არსებობს) სარეზერვო ასლის შენახვა როგორც იმავე დატაცენტრში ასევე დაშორებულ დატაცენტრში და ვებ გვერდის არასანქცირებული დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს აღდგენა სარეზერვო ასლებიდან. ამასთან "შემსრულებელი" არ არის პასუხისმგებელი "დამკვეთის" მიერ მისთვის გამოყოფილ ვებ სერვერში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოებაზე.

5.2. FastCloud აწარმოებს ყველა ვირტუალური სერვერის (VPS) სარეზერვო ასლების შენახვას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. სარეზერვო ასლები მოიცავს ვირტუალური მანქანის მთლიან კოპიას რომელიც წარმოებულია Hypervisor-ის სნაპშოტ ტექნოლოგიის მიხედვით.

5.3. VPS სერვერების შემთხვევაში სარეზერვო ასლები ინახება 2 კვირის განმავლობაში.

5.4. ყველა სარეზერვო ასლი შენახულ იქნება როგორც ლოკალურად იმავე დატაცენტრში, ასევე სხვა დაშორებულ დატაცენტრში, რაც გამორიცხავს ინფორმაციის დაკარგვას მაქსიმალურად.

5.5. სარეზერვო ასლების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მთლიანი ვირტუალური მანქანის სახით და ვერ მოხდება ცალკეული კომპონენტების ამოღება. ცალკეული კომპონენტების (მაგ: SQL, Oracle და ა.შ) დამოუკიდებლად რეზერვირება შესაძლებელია კომპანიასთან შეთანხმებით დამატებითი საფასურის სანაცვლოდ. ასევე ცალკეული კომპონენტების დამოუკიდებელი რეზერვირებისას ამ კომპონენტებზე არ უნდა მოხდეს პაროლების ცვლილება FastCloud-თან შეთანხმების გარეშე. თუ კომპონენტებზე აღნიშნული პაროლების ცვლილება მოხდა FastCloud-თან შეთანხმების გარეშე მაშინ კომპანია ვერ აიღებს პასუხისმგებლობას სარეზერვო ასლების კონსისტენტობაზე.

5.6. სარეზერვო ასლების მიწოდება ინფორმაციის სიდიდის გამო შესაძლებელია გარკვეული გამონაკლისების დროს.

7.2. VPS სერვერების შემთხვევაში სარეზერვო ასლების აღება მოხდება ყოველდღიურად და ყოველკვირეულად და შენახულ იქნება მხოლოდ ბოლო 2 კვირის ასლი.

7.3. მომხმარებელი თანახმაა იმაზე რომ FastCloud არ მოახდენს მისი აუდიო და ვიდეო ფაილების ყოველდღიურ რეზერვაციას. მითითებული ფაილები იგნორირებულ იქნება რეზერვაციის დროს.

7.4. FastCloud-ი იწყებს ყოველდღიური სარეზერვო ასლების აღებას 00:00 საათიდან.

7.4.1. შესაბამისად ნებისმიერი სერვისის სარეზერვო ასლიდან აღდგენის შემთხვევაში, კომპანია FastCloud-ი პასუხს ვერ აგებს იმ ნაწილი ინფორმაციის აღდგენაზე რაც სარეზერვო ასლის შექმნიდან(00:00 საათიდან) მისი მწყობრიდან გამოსვლის მომენტამდე იქნა აკუმულირებული სერვერზე.

7.5. 14 კალენდარული დღის განმავლობაში გადაუხდელობის შემდგომ ვირტუალური სერვერის(VPS) აღდგენა არის ფასიანი. 30 კალენდარული დღის გადაუხდელობის შემთხვევაში ვირტუალური სერვერი(VPS) იშლება სისტემიდან და ამავდროულად ვერ მოხდება მისი სარეზერვო ასლის აღდგენა.

7.6. ნებისმიერი ვირტუალური სერვერის სარეზერვო ასლიდან აღდგენა დამოკიდებულია სერვერის მყარდ დისკის მოცულობაზე რაც მოითხოვს გარკვეულ დროს მოცულობის შესაბამისად. სარეზერვო ასლიდან სერვერის აღდგენის დრო არ იქნება გათვალისწინებული Uptime გარანტიის შეთანხმებაში.

7.7. კომპანია FastCloud-ი გთავაზობთ ვირტუალური სერვერების რეპლიკაციას დროის საათობრივი პერიოდულობით. რეპლიკაციის სერვისის ფასი თავიდანვე შეთანხმებული იქნება მომხმარებელთან და დაემატება სერვერის ყოველთვიურ ღირებულებას.

5.7. FastCloud-ი იწყებს ყოველდღიური სარეზერვო ასლების აღებას 00:00 საათიდან.

5.8. "დამკვეთი" ვალდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შეასრულოს 3.2. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები;

5.9. "დამკვეთი" იღებს ვალდებულებას არ ჩატვირთოს სერვერზე, არ გამოიყენოს გასაგზავნად ან არ განათავსოს კონტენტი რომელიც:

- არის არაკანონიერი, მუქარის შემცველი, შეურაცმყოფელი, რომლებიც არღვევს საავტორო უფლებებს, პროპაგანდას უწევს რასობრივ, რელიგიურ, სქესობრივ, სოციალურ დისკრიმინაციას და აღვივებს შუღლს, შეიცავს შეურაცყოფას კონკრეტული პირებისა და ორგანიზაციების მიმართ;
- არღვევს არასრულწლოვანთა უფლებებს, შეიძლება მათთვის ნებისმიერი ფორმით ზიანის მიყენება;
- არღვევს ან ავიწროვებს უმცირესობათა უფლებებს;
- იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებზეც თქვენ არ გააჩნიათ უფლება გახადოთ საჯარო საქართველოს კანონმდებლობით, ან რომელიმე ხელშეკრულებით;
- იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებიც ეხება რაიმე პატენტს, სავაჭრო ნიშანს, კომერციულ საიდუმლოებას ან არღვევს მესამე მხარის სა-კონტენტი რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს კანონმდებლობით ამორალურ გარიგებათა ნაირსახეობად, მაგ: პროსტიტუციაზე ხელშეწყობა, ბავშვთა ტრეფიკინგი და სხვა.ვტორო უფლებებს.

- იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებზეც შეიცავენ სპამს, უცხო ელექტრონულ მისამართებს;
- იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებიც შეიცავენ ვირუსებსა და სხვა კომპიუტერულ კოდებს, ფაილებს და პროგრამებს, რომლებიც განსაზღვრულნი არიან პროგრამების, კომპიუტერებისა და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობათა ფუნქციონალური შეზღუდვის, დარღვევისა თუ განადგურებისათვის. ასევე კომერციული პროგრამული პროდუქტების სერიული ნომრების, კოდების, ლოგინების, პაროლების ან სხვა რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს ინტერნეტის ფასიან რესურსებში არასანქცირებულ ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ზემოთაღნიშნულ ინფორმაციაზე ლინკების განთავსება;
- მესამე პირთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შენახვა;
- მესამე პირების ქსელში ნებისმიერი სახით წარმომადგენლობა;
- საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შეგნებული დარღვევა;

5.10. მომსახურების ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში „შემსრულებელი“ უფლებამოსილია შეუჩეროს მომსახურება „დამკვეთს“. „შემსრულებელი“ ვალდებულია მომსახურების შეჩერების შემდგომ 30 კალენდარული დღის განმავლობაში შეინახოს „დამკვეთის“ ფაილები.

5.11. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ანდა არაჯეროვანი შესრულებისას, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება.

5.12. თუ აღმოჩენილ იქნება მომხმარებელი რომელიც იყენებს 5.9 თავში აღწერილ სერვისებს, მოხდება მისი გაფრთხილება ან გაფრთხილების გარეშე ანგარიშის დახურვა. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული ამორალური გარიგების აღმოჩენა გამოიწვევს გაუფრთხილებლად მომსახურების შეწყვეტას, რაც არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად.

6. კონფიდენციალურობა

6.1. „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას – დაიცვას კონფიდენციალურობა დამკვეთის მიერ მოწოდებულ თუ სერვერზე განთავსებულ მასალებზე, არ შეინახოს და არ გაავრცელოს ის.

6.2. „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას დაიცვას საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“

7. დავების გადაწყვეტის წესი

7.1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან წამოჭრილი ყველა დავა, ანდა წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

7.2. სადაო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეებს გააჩნიათ უფლებამოსილება მიმართონ სასამართლოს და გადაჭრან სადაო საკითხები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების თანახმად.

7.3. „შემსრულებელი“ იტოვებს უფლებას „დამკვეთის“ მიერ მორალური ზიანის მიყენების შემთხვევაში 3 კალენდარული დღის შემდეგ შეუჩეროს მას სერვისის მიწოდება. ამ პერიოდის განმავლობაში „დამკვეთმა“ უნდა მოახდინოს მისი სერვისის გადატანა. „შემსრულებელი“ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ვალდებულია „დამკვეთს“ მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს ფაილების სარეზერვო ასლები.

8. დასკვნითი დებულებები

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის „დამკვეთი“-ს მიერ ონლაინ განაცხადის შევსების დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე.
- 8.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მისი გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამასთან გაუქმება, ცვლილება, ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით და ხელმოწერილ იქნას მხარეთა მიერ.
- 8.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
<p>შპს „სისნეტი“ ს/კ: 400157076 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. # 41გ</p>	<p>შპს „-----“ ს/კ: ----- იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ---- -----</p>
<p>დირექტორი</p> <p>-----</p>	<p>დირექტორი</p> <p>-----</p>
<p>ბ.ა.</p>	<p>ბ.ა.</p>

დანართი 1

1. SSD Shared Hosting (ECONOMY) – 2vCPU/4GB RAM/100GB SAS10K-RAID-10	ლარი/თვეში
სულ გადასახდელი	ლარი/თვეში

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
<p>შპს „სისნეტი“ ს/კ: 400157076 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. # 41გ</p>	<p>შპს „-----“ ს/კ: ----- იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ---- -----</p>
<p>დირექტორი -----</p>	<p>დირექტორი -----</p>
<p>ბ.ა.</p>	<p>ბ.ა.</p>

საბანკო ანგარიშწორებისას გამოიყენეთ შემდეგი ანგარიშები:

თიბისი ბანკი: GE73TB7357736080100004 GEL

საქართველოს ბანკი: GE55BG0000000637788400 GEL

ლიბერთი ბანკი : GE79LB0113141950335000 GEL

საბანკო გადმორიცხვის შემთხვევაში გთხოვთ დანიშნულებაში მიუთითოთ ინვოისის ნომერი: